მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

ოქტომბერი, 2023

ძირითადი ცვლილებები

- 2023 წლის სექტემბერშო, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 5.1 პროცენტი, ხოლო 2023 წლის 9 თვის საშუალო ზრდა 6.8 პროცენტზე დაფიქსირდა

- ოქტობერში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.8 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.4 პროცენტს

- აგვისტოში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 0.9 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 9.2 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 16.4 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 713 მლნ აშშ დოლარს

- სექტემბერის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გამყარდა 10.0 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და გაუფასურდა 0.7 პროცენტით წინა თვესთან

- ოქტომბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10 პროცენტზე დატოვა

სექტემბერში ეკონომიკურმა ზრდამ 5.1 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.1 პროცენტი შეადგინა, 2023 წლის III კვარტლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 5.4 პროცენტია, ხოლო პირველი 9 თვის საშუალო ზრდა 6.8 პროცენზე დაფიქსირდა. სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ სექტემბერში წინა თვესთან შედარებით -0.5 პროცენტი შეადგინა.

- 2023 წლის სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმრო და რესტორნები.

- დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტისა და დასაწყობების, ასევე უძრავი ქონების სექტორებში.

ეკონომიკური ზრდა, % თ/თ





წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2023 წლის მეორე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 7.5 პროცენტით



წყარო: საქსტატი

- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკა 7.5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პირველ კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 7.7 პროცენტით. 2023 წლის მეორე კვარტლის ზრდა 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 26.9 პროცენტიან ზრდას გულისხმობს.
- 2023 წლის მეორე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები 42.8% (0.4 პ.პ.)
  - შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები: 41.8% წ/წ (0.04 პ.პ.)
  - მშენებლობა: 22.7% (1.0 პ.პ.)
  - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 20.2% (1.0 პ.პ.)
  - განათლება: 19.6% (1.0 პ.პ.)
  - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი: 14.6% (1.9 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
  - ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება: -7.0% (-0.3 პ.პ.)
  - სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა: -7.1% (-0.6 პ.პ.)

ოქტომბრის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 0.8 პროცენტი

მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ



ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 16.4 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



- სექტემბერში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 0.9 პროცენტით და გაუტოლდა 528.0 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 25.3 პროცენტით და გაუტოლდა 242.2 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 9.2 პროცენტით და გაუტოლდა 1 241 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 16.4 პროცენტით და გაუტოლდა 713.3 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 16.5 პროცენტი (43.4 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიტანა უარყოფითი 14.1 პროცენტიანი წვლილი (-49.2 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 11.9, 0.4 და -3.1 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, სექტემბერი



იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, სექტემბერი



- **ექსპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 197.7 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 37.4 პროცენტი.
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 26.4 მლნ აშშ დოლარი - 5.0 პროცენტი.
  - ფეროშენადნობები: 25.1 მლნ. აშშ დოლარი - 4.8 პროცენტი.
- **იმპორტის ტოპ საქონელი:**
  - მსუბუქი ავტომობილები: 194.5 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 15.7 პროცენტი.
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 100.1 მლნ აშშ დოლარით - 8.1 პროცენტი.
  - სამკურნალო საშუალებები დაფასოებული: 37.9 მლნ აშშ დოლარით - 3.1 პროცენტი.
- **ექსპორტის ტოპ ქვეყნები:**
  - ყირგიზეთი: 80.6 მლნ. აშშ დოლარი, - 15.3 პროცენტი.
  - ყაზახეთი: 64.9 მლნ. აშშ დოლარი - 12.3 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 58.7 მლნ. აშშ დოლარი - 11.1 პროცენტი.
- **იმპორტის ტოპ ქვეყნები:**
  - თურქეთი: 214.2 მლნ. აშშ დოლარი, - 17.3 პროცენტი.
  - ჩინეთი: 146.3 მლნ. აშშ დოლარი - 11.8 პროცენტი.
  - რუსეთი: 138.5 მლნ. აშშ დოლარი - 11.2 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

2023 წლის სექტემბერში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 28.2 პროცენტიანი კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2023-2019



წმინდა ფულადი გზავნილები, სექტემბერი 2023

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
რუსეთი	56.1	-67.2	-32.3
იტალია	42.3	19.1	1.9
აშშ	39.9	46.9	3.6
გერმანია	20.3	35.3	1.5
საბერძნეთი	19.0	13.8	0.6
ყაზახეთი	17.3	90.1	2.3
სხვა	60.0	-25.7	-5.8

- 2023 წლის სექტემბერში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 255 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 28.2 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 97.2 პროცენტით მეტია.
- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
  - ერაყი: 545.9 პროცენტი (0.5 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - იორდანია: 497.5 პროცენტი (0.3 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - ირლანდია: 93.9 პროცენტი (0.6 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
  - აშშ: 46.9 პროცენტი (3.6 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
  - სომხეთი: -93.4 პროცენტი (-5.1 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
  - რუსეთი: -67.1 პროცენტი (-32.3 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

სექტემბერში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად 10 პროცენტით გამყარდა

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი

ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში



შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	1 ნოემბერი, 2023	1 ნოე 2023 - 1 იან 2023	1 ნოე 2023 - 1 იან 2022
ევრო	2.8877	-0.1%	21.2%
აშშ დოლარი	2.7079	-0.2%	14.1%
თურქული ლირა	0.0957	50.8%	428.1%
რუსული რუბლი	0.0294	25.0%	30.6%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	185.96	13.0%	41.8%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (სექტემბერი 2023)	153.90	6.0%	21.8%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)

სექტემბერში საგადასახადო შემოსავლები 15.5 პროცენტით აღემატება პროგნოზს

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, ოქტომბერი 2023



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



- 2023 წლის ოქტომბერში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1,766 მლნ ლარი, რაც 15.5 პროცენტით აღემატება დაგეგმილ მაჩვენებელს.

- 2023 წლის სექტემბერში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 8.4 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 14.0 პროცენტით.

- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 325.1 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა უარყოფით 233.8 მლნ ლარით.

- 2023 წლის სექტემბერში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია საშემოსავლო და მოგების გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა, შესაბამისად 4.5 და 1.7 პროცენტიანი კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ მცირე ცვლილება განიცადა

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი

საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (31 ოქტომბერი)



- 2023 წლის ოქტომბერში ჩატარდა 6 გამოშვებისა და 1 გამოსყიდვის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 214.85 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 8.55%-ზე დაფიქსირდა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 80 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.
- სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელმა ცვლილებები განიცადა. 2023 წლის 31 ოქტომბრისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 42% ფორმირებულია (წინა პერიოდში 41% იყო) იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 3-5 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 1-დან 3 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 24%). ეს უკანასკნელი მაჩვენებელი წინა პერიოდში (სექტემბერი) 28% იყო.
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (სექტემბერი 1.58) შედარებით გაიზარდა და 2.03 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ლარიზაციის მაჩვენებლები ზრდით ხასიათდება

სესხების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია





- 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 71 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36.3 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 48.7 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 73.1 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 32.8 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 55.4 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 48.6 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 40.2 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

სესხების წლიური ზრდის ტემპები გაიზარდა







- 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 18.9 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 22.4 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 16 პროცენტს შეადგენს.
- 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 14.6 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 24.6 პროცენტს გაუტოლდა.
- 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 18.7 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 24.7, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 13.7 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

დეპოზიტების წლიური ზრდა კვლავ სტაბილურად მაღალია







- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 30 სექტემბრის 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.5 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 35.7 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 12.1 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 19.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 27.5 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2023 წლის სექტემბრის დასაწყისში შეადგინა 24.7 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 21.4 პროცენტს გაუტოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 21.6 პროცენტი.

წყარო: სებ

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.0 პროცენტამდე შეამცირა

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სებ

- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 25 ოქტომბერს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დატოვა და 10.0 პროცენტზე დააფიქსირა.

- სებ-ს მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე (3 პროცენტი) დაბალია. ამის გარდა, საგარეო ფაქტორების ფაქტორების როლი ინფლაციის ფორმირებაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ბოლო პერიოდში საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დასტაბილურების ნიშნები იკვეთება. ამავდროულად, საერთაშორისო ტრანსპორტირების ფასები სწრაფი ტემპით შემცირებას განაგრძობს, რაც იმპორტირებული პროდუქტების ფასებზეც ისახება. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი უკვე გაიარა. მიმდინარე წლის ოქტომბერში ფაქტობრივმა ინფლაციამ 0.8 პროცენტი შეადგინა. მას კვლავ შემცირების ტენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეტაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ტენდენციებისა ინფლაციის ზრდის რისკები მაღალ დონეზე რჩება, რაც მწვავე გეოპოლიტიკური სიტუაციათან ერთად სებ-ს უბიძგებს მონეტარული პოლიტიკის ნელი ტემპით შერბილებისაკენ.

- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2023 წლის 18 დეკემბერს ჩატარდება.

- 2023 წლის ოქტომბერში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე აუქციონის მეშვეობით 2 ჩარევა განახორციელა. ჯამში სებ-მა 84.9 მლნ დოლარი გაყიდა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები შემცირდა

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.6 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.8 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.8 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 2.4 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.9 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 15.4 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.4 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 5.9 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.3 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.4 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.6 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის სექტემბრის ბოლოს 13.7 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.3 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.1 პროცენტი.

წყარო: სებ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო